ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 2

უძრავი ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება

გორი

„3„ „ იანვარი „ 2013 წ.

ერთის მხრივ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო - რწმუნებულის, გუბერნატორის პირველი მოადგილე ზრაბ ჩხეიძის სახით (შემდგომში "დამქირავებელი") და მეორეს მხრივ, ხალიანა ჩიტაძე (59001009431), (შემდგომში „გამირავებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია, "გამქირავებელი" გადასცემს, ხოლო "დამქირავებელი" იღებს დროებით სარგებლობაში ქ.გორში კირიონ-2 ქუჩა, ჩიხი მე-2, N3 - ში მდებარე 220 კვ.მ საცხოვრებელ სახლს. CPV(702)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს თვეში 1000 (ათას) ლარს. მთლიანი ღირებულება 12000 (თორმეტიათას ლარს).
2.2. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების გადახდა, დაკავშირებული ქირავნობის ფასთან, განხორციელდება „გამქირავებლის" მიერ, რომელზეც „დამქირავებელი" პასუხს არ აგებს.
2.3. „დამქირავებლის" მიერ უძრავი ქონების დროებით სარგებლობის ღირებულების გადახდა მოხდება „გამქირავებლის" მიერ შედარების აქტის წარმოდგენის შემდეგ. საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
2.4. „გამქირავებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგაიშსწორებით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. „გამქირავებელს" უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის გადახდა, ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.
3.2. დამქირავებელი ვალდებულია:
ა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება იქონიოს სრულ წესრიგსა და სანიტარულ მდგომარეობაში;
3.3. „დამქირავებელს" არა აქვს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის, ქვეგირანობის, იჯარის და სარგებლობის სხვა ფორმით გადაცემის უფლება „გამქირავებლის" თანხმობის გარეშე.
3.4. „ დამქირავებელი" პასუხს აგებს „გამქირავებლის" წინაშე მიყენებული ზიანისთვის.
3.5. „გამქირავებელს" არ შეუძლია, ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოსთხოვოს „დამქირავებელს" ქირავნობის საგნის დაცლა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება განისაზღვროს 2013 წლის 3 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის სესაძლებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკურლების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებობით დადგენილი წესით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

6.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
6.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დამაებითი პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.
8.2. ფორს-მაჟორული სიტუაციების წარმოქმნისას, სახელშეკრულებო პირობების გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში წყდება მხარეთა პასუხისმგებლობები.
8.3. ყველა იმ შემთხვევაში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"დამქირავებელი"	"გამქირავებელი"
გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ქ. გორი, სტალინის გამზ. 16 საქართველოს სახელმწიფო ხაზინა ანგ. „200122900" კოდი „220101107" საიდენტიფ. კოდი „217889514"	ხალიანა ჩიტაძე ს/კ 59001009431 ქ.გორი, კირიონ მეორეს ჩიხი 1 ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბანკის კოდი: UGEBGE22 ა/ა GE88VT 100 000 1517 9945 06

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორის
პირველი მოადგილე

ზ. ჩხეიძე

ხ. ჩიტაძე